საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 27

ქ. თბილისი 03.11.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:
იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი;
ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ნანა ჭიღლაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ფურცხვანიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ბეგიაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. ნინო ოქროჯანაშვილი - შპს - სკოლა-გიმნაზია "პირველის" დირექტორი;
2. ირმა სარდლიშვილი - შპს - სკოლა-გიმნაზია "პირველის" დირექტორის მოადგილე;
3. მანანა ბაკურაძე - შპს - სკოლა-გიმნაზია "პირველის" დამფუძნებელი;
4. კახაბერ კორძაია - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი;
5. მარინა გედევანიშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. ზურაბ ბერიძე - ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
7. ეთერ ხმალაძე - ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მოადგილე;
8. რევაზ სანდროშვილი - ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის მენეჯერი;
9. როზა ლორთქიფანიძე - შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;

10.მაკა ყუბანეიშვილი - შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მოადგილე;
11.ემზარ კილასონია - შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის სამსახურის უფროსი;
12.მაკა ოქროპილაშვილი - შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის ადამიანური რესურსებისა და იურიდიული სამსახურის უფროსი;
13.მედეა გორდაძე - სპს - ლევან შავლაყაძე ქ. ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგე; დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე;
14.დავით ზარნაძე - შპს - საბანკო - იურიდიული ლიცეუმის დირექტორი;
15.ნინო კახაბრიშვილი - შპს - საბანკო - იურიდიული ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;
16.ალექსანდრე ჯავახიშვილი - შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა "ალბიონის" დირექტორი;
17.ვენერა ჩიფჩაური - შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა "ალბიონის" დირექტორის მოადგილე;
18.მარიკა ილურიძე - შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა "ალბიონის" დირექტორის მოადგილე;
19.არჩილ ჩხაიძე - შპს -არასახელმწიფო საერო სკოლა "ალბიონის" დირექტორის მოადგილე;
20.ჟუჟუნა მუმლაძე - შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დირექტორი;
21.აკაკი დუმბაძე - შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დამფუძნებელი;
22.რეზო ნინუა - შპს - ხიხანი მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
23.ირმა თოდრია - შპს - "ნერგების" დირექტორი;
24.მზია ლაზიშვილი - შპს - "ნერგების" დირექტორის მოადგილე;
25.ლია ნამორაძე - შპს - "ივერიონის" დირექტორი;
26.მარინე ხიხაძე - შპს - "ივერიონის" დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში;
27.კახაბერ ფარცვანია - შპს - ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის დირექტორი;
28.გრიგოლ ხვიტია - შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
29.ფატი შენგელია - შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტები:
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნათია ქაჯაია - ავტორიზაციის ექსპერტი;
ელენე გვენცაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
კახა ჟღენტი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლელა გველესიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი;
იანინა გიგიბერია - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნანა ჯანაშია - ავტორიზაციის ექსპერტი;
თამარ გვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:35 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა:
- შპს - "ზუჩი";
- შპს - აივაზ დურსუნ ოღლი ჰასანოვის სახელობის "ალგეთის სკოლა-ლიცეუმი";
- შპს - „ბობა“;
- შპს - ლაგოდეხის რეგიონალური სამეცნიერო, სასწავლო საწარმოო ცენტრი „დავითი“;
- შპს - ყვარლის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა;
- შპს - საერო დამოუკიდებელი საშუალო სკოლა „დვირე“;
- შპს - სკოლა-კოლეჯი „მიმოსი“;
- სპს - „ლეილა ჭილაია - სკოლა ჩირაღდანი“;
- შპს - საერო სკოლა „აისი“;
- შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო ლიცეუმი;
- ა(ა)იპ - ფონდი "ქართული განათლება";
- შპს - ოქროს ვერძი;
- შპს - მრავალდარგოვანი სკოლა-ლიცეუმი "რიტორი";
- შპს - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი.

2. შპს - სკოლა-გიმნაზია ,,პირველის'' მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სპს - ,,ლევან შავლაყაძე'' - ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - საბანკო - იურიდიული ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა ,,ალბიონის'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - ,,ხიხანი'' მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - ,,ნერგების'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - ,,ივერიონის'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

12. შპს - ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. საბჭოს წევრებსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონიათ. სხდომის თავმჯდომარემ დაამტკიცა დღის წესრიგი.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ 2011 წლის 13 ოქტომბრის საბჭოს სხდომაზე დაინერგა პრეცედენტი, რომლის მიხედვითაც, საბჭომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ კონკრეტული დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2011 წლის 24 დეკემბრიდან. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზნიდან გამომდინარე, დაწესებულებებთან ერთიანი მიდგომის დამკვიდრების უზრუნველსაყოფად, ნანა ჭიღლაძემ დააყენა შუამდგომლობა, რომ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლებსაც უარი ეთქვათ ავტორიზაციის მინიჭებაზე მიმდინარე სასწავლო სემესტრის იმ მონაკვეთში, როდესაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივნისის №114/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესით“ არ იყო დაშვებული მოსწავლეთა მობილობა, გავრცელებულიყო საბჭოს ზემოაღნიშნული მიდგომა და მათი ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2011 წლის 24 დეკემბრიდან.

ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდომლობაზე და გაიზიარა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭიღლაძის, მოსაზრება.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

დღის წესრიგის პირველი საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პირველ საკითხში მოცემულია იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის №84/ნ ბრძანების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ავტორიზაციის გასავლელად უნდა მოემართათ 2011 წლის 1 ივლისამდე. ამასთან, დაწესებულებებმა წერილობით დაადასტურეს, რომ წყვეტენ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი შუამდგომლობს, გაუუქმდეთ ავტორიზაცია შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს:

1. შპს - "ზუჩი";
2. შპს - აივაზ დურსუნ ოღლი ჰასანოვის სახელობის "ალგეთის სკოლა-ლიცეუმი";
3. შპს - „ბობა“;
4. შპს - ლაგოდეხის რეგიონალური სამეცნიერო, სასწავლო საწარმოო ცენტრი „დავითი“;
5. შპს - ყვარლის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა;
6. შპს - საერო დამოუკიდებელი საშუალო სკოლა „დვირე“;
7. შპს - სკოლა-კოლეჯი „მიმოსი“;
8. სპს - „ლეილა ჭილაია - სკოლა ჩირაღდანი“;
9. შპს - საერო სკოლა „აისი“;
10. შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო ლიცეუმი;
11. ა(ა)იპ - ფონდი "ქართული განათლება";
12. შპს - ოქროს ვერძი;
13. შპს - მრავალდარგოვანი სკოლა-ლიცეუმი "რიტორი";
14. შპს - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭიღლაძემ, დააყენა შუამდგომლობა, რომ რადგან საბჭოს ჰქონდა უკვე დანერგილი მსგავსი პრეცედენტი, შპს - საერო დამოუკიდებელი საშუალო სკოლა "დვირესათვის" ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში, მისთვის გადაწყვეტილება ამოქმედებულიყო 2011 წლის 24 დეკემბრიდან, მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრებიდან, რადგან სკოლას ერიცხებოდა მოსწავლეები.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ეს სკოლა იყო ერთადერთი, რომელსაც მოსწავლეები ჰყავდა. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭიღლაძემ, აღნიშნული დაუდასტურა.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, საბჭო იმსჯელებდა აღნიშნულ შუამდგომლობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, აგრეთვე, დააზუსტა, რომ შპს - საერო დამოუკიდებელ საშუალო სკოლა "დვირეს" თავად ჰქონდა ცენტრში წარმოდგენილი მოთხოვნა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭიღლაძის, განცხადებით, სკოლის წერილში მითითებულია, რომ სკოლა, საბჭოს მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლეთა გადანაწილებას სხვა სკოლებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - "ზუჩისათვის", შპს - აივაზ დურსუნ ოღლი ჰასანოვის სახელობის "ალგეთის სკოლა-ლიცეუმისათვის", შპს - „ბობასათვის“, შპს - ლაგოდეხის რეგიონალური სამეცნიერო, სასწავლო საწარმოო ცენტრი „დავითისათვის“, შპს - ყვარლის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლისათვის, შპს - საერო დამოუკიდებელი საშუალო სკოლა „დვირესათვის“, შპს - სკოლა-კოლეჯი „მიმოსისათვის“, სპს - „ლეილა ჭილაია - სკოლა ჩირაღდანისათვის“, შპს - საერო სკოლა „აისისათვის“, შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო ლიცეუმისათვის, ა(ა)იპ - ფონდი "ქართული განათლებისათვის", შპს - ოქროს ვერძისათვის, შპს - მრავალდარგოვანი სკოლა-ლიცეუმი "რიტორისათვის", შპს - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გაუქმებულ იქნას შპს - "ზუჩის", შპს - აივაზ დურსუნ ოღლი ჰასანოვის სახელობის "ალგეთის სკოლა-ლიცეუმის", შპს - „ბობას“, შპს - ლაგოდეხის რეგიონალური სამეცნიერო, სასწავლო საწარმოო ცენტრი „დავითის“, შპს - ყვარლის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის, შპს - საერო დამოუკიდებელი საშუალო სკოლა „დვირეს“, შპს - სკოლა-კოლეჯი „მიმოსის“, სპს - „ლეილა ჭილაია - სკოლა ჩირაღდნის“, შპს - საერო სკოლა „აისის“, შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო ლიცეუმის, ა(ა)იპ - ფონდი "ქართული განათლების", შპს - ოქროს ვერძის, შპს - მრავალდარგოვანი სკოლა-ლიცეუმი "რიტორის", შპს - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრის ავტორიზაცია.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შპს - საერო დამოუკიდებელ საშუალო სკოლა "დვირესათვის" ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება ამოქმედდება 2011 წლის 24 დეკემბრიდან.

2. შპს - სკოლა-გიმნაზია „პირველში“ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა, თუმცა აღსანიშნავია, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს - სკოლა-გიმნაზია „პირველი“ ქალაქ ბათუმში, რ. კომახიძის I შესახვევი, №1-ში იჯარის ხელშეკრულებით ფლობს 410,57 კვ.მ. ფართს. იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. სკოლა განლაგებულია სამსართულიანი შენობის სამივე სართულზე (საკადასტრო კოდი 05.21.38.006.01.516).

საკლასო ოთახები მოწესრიგებულია და აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ, 65 ცალი ინდივიდუალური მერხი, 133 სკამი (ნასყიდობის ხელშეკრულებები, სასაქონლო ზედნადებები); სკოლას შპს - ,,აპ დიზაინთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასკოლო ინვენტარის (70 სკამი, 135 ინდივიდუალური მერხი) დამზადებასა და მიწოდებაზე.

სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი ოთახი პირველადი დახმარების მედიკამენტებით. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ექთანთან;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისათვის სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან, რის საფუძველზეც სკოლას ემსაურება 2 მანდატური;

ე) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება სამეთვალყურეო კამერებით.

სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი 10 კომპიუტერი, ერთი პრინტერი და ორი კომბაინი (ასლგადამღები, პრინტერი, სკანერი).

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - „ინსტა-ჯორჯიასთან“ ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიის შესყიდვაზე. ხელშეკრულებასთან ერთად წარმოდგენილია საგადასახადო დავალება, რაც ადასტურებს სახელშეკრულებო თანხიდან 500 ლარის გადახდას.

სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი წიგნადი ფონდი და მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში შექმნილია პირობები მოსწავლეებისა და მასწავლებლების

დამოუკიდებელი მუშაობისათვის. ბიბლიოთეკას აქვს დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

შპს - სკოლა-გიმნაზია „პირველს“ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად ჰყავს 29 პედაგოგი. სკოლის ყველა პედაგოგის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პედაგოგებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, იკითხა თუ რამდენი მოსწავლე ყავდა სკოლას ამჟამად.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სკოლაში, ამჟამად, 65 მოსწავლე ირიცხებოდა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა უზრუნველყოფდა 200 მოსწავლის მიღებას.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, განცხადებით, სკოლის ფართი, 410 კვ.მ. ძალიან მცირე იყო 200 მოსწავლისათვის და ეს რაოდენობა, ფიზიკურად, ვერ დაეტეოდა აღნიშნულ ფართში.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სკოლას შეეძლო ცვლის გაკეთება.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, განმარტებით, წესით მომგებიანი არ უნდა იყოს ცვლის გაკეთება, რადგანაც კერძო სკოლაში, იშვიათად ხდება, რომ მშობელს მეორე ცვლაში სურდეს ბავშვის მიყვანა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, განმეორებით წარმოედგინა ადეკვატური შუამდგომლობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, 102 მოსწავლე, ამ ეტაპისათვის, სასურველი იქნებოდა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეების მიღებას. ნანა ჭიღლაძე დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 102 მოსწავლეთა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა-გიმნაზია „პირველის“ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 102-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სკოლა-გიმნაზია „პირველს" მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 102-ით.

3. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა, თუმცა აღსანიშნავია, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა №73-ში არსებული ფართი 6357.37 (საკადასტრო კოდი 01.12.06.001.015).

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2 კომპიუტერული კლასი, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის 104 კომპიუტერით.

სასწავლო პროცესის ხარისიხის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებელზე არსებული წიგნადი ფონდი, რომელიც შეესაბამება საგანმანათლბლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი მოიცავს 10700 ერთეულს. უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სრულადაა ასახული სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში "openbiblio".

უნივერსიტეტი ახორციელებს 13 საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას.

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 85, აქედან: სრული პროფესორი - 27; ასოცირებული პროფესორი - 38; ასისტენტ-პროფესორი - 20.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, იკითხა სტუდენტთა ამჟამინდელი რაოდენობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, უნივერსიტეტში 713 სტუდენტი ირიცხებოდა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ნანა ჭიღლაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ნანა ჭიღლაძე დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 2000 სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.

4. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატარიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 140 პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

5. შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის სამ აუდიტორიაში, ექსპერტთა ვიზიტის დროს, მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, დამთავრდა თუ არა სარემონტო სამუშაოები კოლეჯის შენობის აღნიშნულ ნაწილში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თითქმის დასრულდა რემონტი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსების სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 180 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ნანა ჭიღლაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება შეძლებს მიიღოს 180 პროფესიულ სტუდენტს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

6. სპს - „ლევან შავლაყაძე" - ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 საკლასო ოთახები აღჭურვილია ორადგილიანი მერხებით (125 ერთეული). გიმნაზია გეგმავს ორადგილიანი მერხების ინდივიდუალური მერხებით ჩანაცვლებას, პირველ ეტაპზე დადებულია ხელშეკრულება ი/მ ამირან კაშიასთან 140 ინდივიდუალური მერხის დამზადებაზე.

1.2 დაწესებულების ვებ–გვერდი შექმნის პროცესშია (მისამართი http://gimnazia.lanserv.ge/).

1.3 გიმნაზიას შპს - „ნეო ტექნოლოჯთან" დადებული აქვს ხელშეკრულება უსაფრთხოების კამერების დამონტაჟებაზე. ვიზიტის პერიოდში უსაფრთხოების კამერები დამონტაჟებული არ იყო.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - „ნეო ტექნოლოჯისგან" ნაყიდი უსაფრთხოების კამერები სკოლას უკვე დამონტაჟებული ჰქოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შესაბამისი ფოტო მასალა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ვებ-გვერდი. ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სპს - „ლევან შავლაყაძე" - ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის ვებ-გვერდი ფუნქციონირებდა და ასრულებდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 260 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - ,,ლევან შავლაყაძე" - ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისადა ,,სპს - ,,ლევან შავლაყაძე" - ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. სპს - ,,ლევან შავლაყაძე" - ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით.

7. შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატარიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

სხდომის თავჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა ლიცეუმში ამ დროისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შპს - საბანკო-იურიდიულ ლიცეუმში ამ ეტაპზე სწავლობდა 78 მოსწავლე.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 84 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 84 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის შესაბამისობის საკითხზე და ერთხმად მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 84-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საბანკო-იურიდიულ ლიცეუმს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 84-ით.

8. შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატარიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი იყო შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის" შესახებ და თვლიდა, რომ სკოლას გააჩნდა ძალიან კარგი მატერიალური და ადამიანური რესურსი.

სხდომის თავჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში ამ დროისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე სკოლას ჰყავდა 516 მოსწავლე. აქვე, წარმომადენელმა დამატებით აცნობა საბჭოს, რომ სკოლა 7 ნოემბრიდან გადადის ახალგარემონტებულ შენობაში და ფართის მოცულობიდან გამომდინარე, გაცილებით მეტი მოსწავლის მომსახურებას შეძლებს.

თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭოს შეეძლო ემსჯელა მხოლოდ იმ ფართიდან გამომდინარე, რომელიც მითითებული იყო დაწესებულების მიერ შევსებულ თვითშეფასების კითხვარსა და საექსპერტო დასკვნაში.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 600 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 600 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის" შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის" ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

9. შპს - „ხიხანი" მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში არის სამეცნიერო-შემეცნებითი და მხატრული ლიტერატურა. გრიფირებული სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი.

1.2 სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პროგრამა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სკოლა მდებარეობს მე-7 სართულზე, მუშაობს ორი ლიფტი, სკოლის ადმინისტრაცია თვლის, რომ ლიფტი სსსმ მოსწავლის გადაადგილეგისთვის საჭირო ნორმებს აკმაყოფილებს(ლიფტის სიგანე გახსნილი კარით 62 სმ-ია).

1.3 სკოლაში მოქმედებს პედაგოგთა მორიგეობის გრაფიკი, დერეფანში დამონტაჟებულია 3 შიდა კონტროლის ვიდეო კამერა, რომლის საკონტროლო პულტი მოთავსებულია სასწავლო ნაწილთან. ვიზიტის დროს სკოლის გარე პერიმეტრი არ კონტროლდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა ჟუჟუნა მუმლაძემ აღნიშნა, რომ შპს - „ჯესკო ჯგუფთა" დადებული ჰქონდათ ხელშეკრულება უსაფრთხოების კამერების შეძენის თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულის დასადასტურებლად ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შპს - „ჯესკო ჯგუფთან" დადებული ხელშეკრულება და უსაფრთხოების კამერის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა ადგილზე გადამოწმების შედეგად დაადასტურა, რომ შპს - „ხიხანი" მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის მიერ ნაყიდი უსაფრთხოების კამერის პარამეტრები შესაბამისობაში იყო „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ადაპტირებული

გარემო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. დაწესებულების დირექტორის მოადგილემ რეზო ნინუამ აღნიშნა, რომ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში მოსვლის შემთხვევაში ლიფტის მეშვეობით აიყვანდნენ მე-7 სართულზე. დირექტორის მოადგილემ განმარტა, რომ ინვალიდის სავარძლის სტანდარტული ზომა იყო 58 სმ. შესაბამისად, ლიფტის კარის სიგანე (62 სმ) იყო სავსებით ნორმალური, რათა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე ასულიყო შენობის მე-7 სართულზე.

შპს - „ხიხანი" მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დამფუძნებელმა აკაკი დუმბაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაიმატა 400 კვ.მ ფართი. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა აღნიშნული ფართი დარეგისტრირებული დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში. აღნიშნულ კითხვაზე სკოლის დირექორმა განმარტა, რომ მათ მიერ კითხვარში დაფიქსირებული იყო მხოლოდ 560 კვ.მ. და დამატებით 400 კვ.მ. არ იყო მოცემული. ავტორიზაციის ექპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა დაადასტურა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებული იქნა მხოლოდ 560 კვ.მ. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ იოსებ სალუქვაძემ განმარტა, რომ ისინი ვერ იმსჯელებდნენ დამატებით 400 კვ.მ ფართთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა გაიზიარეს იოსებ სალუქვაძის მოსაზრება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი დავით კახნიაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ბიბლიოთეკაში ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს გრიფირებული სახელმძღვანელოების ნაწილი პედაგოგების მიერ იყო გატანილი. ამჟამად ყველა სახელმძღვანელო იყო ადგილზე.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 250-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 200 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ხიხანი" მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა"

ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისადა შპს - „ხიხანი" მრავალპროფილიან საშუალო სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

10. შპს - „ნერგების" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - „ნერგები" განთავსებულია ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №20ა-ში ოთხსართულიანი სენობის ოთხივე სართულზე. აღნიშნული შენობის ნაწილი - 359,77 კვ.მ. არის შპს - „ნერგების" დამფუძნებლის - ავთანდილ აბაშიძის საკუთრება, რომელსაც ზემოხსენებული დაწესებულებისთვის იჯარით გადაცემული აქვს თავისი კუთვნილი ფართი, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (საკადასტრო კოდი №05.25.06.039.01.506). შენობის ნაწილის - 594,03კვ.მ-ის მესაკუთრეა ჯემალ აბაშიძე (საკადასტრო კოდი №05.25.06.039.01.521), რომელსაც შპს - „ნერგებთან" აღნიშნულ ფართზე გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება, თუმცა ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. შპს „ნერგებმა" ფართის დასარეგისტრირებლად 18 ოქტომბერს გააკეთა განაცხადი (განცხადება 882011507370-01); რომლის წარმოება შეწყვეტილია იმავე დღეს. ამდენად, შპს „ნერგები" საავტორიზაციო მიზნებისთვის ფლობს 359,77 კვ.მ.

დაწესებულების წარმომდგენლის განმარტებით აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია და წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, იკითხა სკოლა ორივე შენობაში იყო თუ არა განთავსებული.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ეს არის ერთი შენობა, უბრალოდ, მესაკუთრე ჰყავდა ორი.

თავმჯდომარემ იკითხა, თუ რამდენი მოსწავლე ყავდა სკოლას ამ ეტაპისათვის.

დაწესებულების დირექტორის განცხადებით, სკოლაში ამ ეტაპისათვის 299 მოსწავლე იყო.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსების სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამების

თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 320 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ნანა ჭიღლაძე დაეთანხმა, რომ დაწესებულება შეძლებს მიიღოს 320 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნერგების ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისადა შპს - „ნერგებს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.

11. შპს - „ივერიონის” ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - „ივერიონის" წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

1.1 საგნის, საგზაო უსაფრთხოების, საათები სკოლის საათობრივ ბადეში გაწერილი არ არის.

1.2 I-V კლასებში მუსიკის სახელმძღვანელოდ არჩეულია „ინტელექტის" გამომცემლობის გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო VI კლასში კი - გამომცემლობა „წყაროსთვალის" გრიფირებული სახელმძღვანელო, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანებას.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში არაფერია ნათქვამი საფეხურის დაძლევის აუცილებელი მინიმალური ბარიერის შესახებ.

1.4 სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში სემესტრში ერთხელ ტარდება სასკოლო მონიტორინგის წერები. შეფასება არის დიაგნოსტიკური ხასიათის და გამოიყენება შედეგების დემონსტრირებისათვის. აღსანიშნავია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების მექანიზმი უნდა უკავშირდებოდეს სასწავლო გეგმის კომპონენტების (საათობრივი ბადის, სახელმძღვანელოების, შეფასების სისტემის, სადამრიგებლო პროგრამის, დამატებითი საგანმანათლებლო და საყმზრდელო მომსახურების) ანალიზს და მის საფუძველზე თითოეულ მიმართულებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, პერიოდულობას, პასუხისმგებელ სუბიექტებს, სამოქმედო გეგმას, რომელშიც უფრო კონკრეტულად იქნება გაწერილი მონიტორინგის შედეგებად დაგეგმილი ღონისძიებები (საათობრივ ბადეში ცვლილებების შეტანა, სახელმძღვანელოს გადახედვა, დამატებითი სახელმძღვანელოს არჩევა, გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და საყმზრდელო მომსახურების დაგეგმვა - გაფართოება, სადამრიგებლო პროგრამის კორექტირება და ა.შ.).

2. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 სკოლას ამჟამად ლაბორატორია არ გააჩნია, თუმცა 2011 წლის 26 სექტემბრის შპს - „ჯეო დეკორთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სკოლას შესყიდული აქვს ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ანატომიის და საერთო დანიშნულების საბუნებისმეტყველო 208 დასახელების ლაბორატორიული აღჭურვილობა. 2011 წლის 13 ოქტომბერს ავანსად

გადარიცხულია 2700 ლარი. ხელშეკრულების შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა შესრულდეს ავანსის გადარიცხვიდან 50 დღეში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საგან საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლას იგი გათვალისწინებული ჰქონდა მეორე სემესტრში, ამიტომ ცხრილში არ ჩაწერა. ამასთან, გამოცხადებულია ვაკანსია საგნის მასწავლებლის თანამდებობაზე.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, განმარტა, რომ კერძო სკოლას ჰქონდა უფლება ორსემესტრიანი საგანი ესწავლებინა ერთ სემესტრში და დაეთმო მისთვის 1 საათის ნაცვლად 2 საათი. ამასთან, მოცემულ საგანში მასწავლებელთა მოძიება მართლაც პრობლემური იყო.

საბჭომ იმსჯელა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და არ გაიზიარა შენიშვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა სხვადასხვა გამომცემლობის გრიფირებული სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით განმარტა, რომ იგი იზიარებს ექსპერტთა შენიშვნას. ამასთან, საფეხურის დაძლევის აუცილებელ მინიმალურ ბარიერთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განმარტა, რომ უბრალოდ ტექნიკურად იყო გამორჩენილი მითითება, იმის თაობაზე, რომ მინიმალური ბარიერი - 5.1 რელევანტური იყო, როგორც კლასიდან კლასში გადასვლის, ისე საფეხურის დაძლევისათვის.

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნოემბრის თავიდან დაიწყება სკოლაში მონიტორინგის წერა, რომლის მიხედვითაც მოხდება იმის დადგენა, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. წერის შედეგების განხილვა მოხდება კათედრების სხდომაზე და დაისახება კათედრების საქმიანობის მიმართულებები. აქვე, წარმომადგენელმა განმარტა, რომ წერის შედეგები არ აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ გაუგებარია, რატომ არ უნდა აისახებოდეს მონიტორინგის შედეგები მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოცემული შესაძლებელია მხოლოდ წინა სასწავლო წლის შედეგების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, განმარტა, რომ გაუმჯობესების გეგმა საორიენტაციო ხასიათის უნდა იყოს, თუმცა ამის გათვალისწინება სამომავლოდაც შესაძლებელია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ლაბორატორიასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლაბორატორია უახლოეს მომავალში მიეწოდება სკოლას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 230 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 230 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - „ივერიონის" შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ივერიონს" ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ივერიონს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.

12. შპს - „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატარიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 180 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 180 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის“ შესაბამისობის საკითხზე და ერთხმად მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა”

ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგულ კოლეჯს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

13. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართბით

1.1 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაწესებულების ორ კორპუსში. მეორე კორპუსში არ არის ადაპტირებული გარემო.

1.2 დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსი, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, გარკვეული შეზღუდვებით. კერძოდ: ვიზიტის დროს ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფილი იყო დაწესებულების პირველი კორპუსი. მეორე კორპუსში ინტერნეტკავშირი არ იყო.

1.3 სამეცნიერო საბჭოსა და დამფუძნებელი პარტნიორების სხდომების ოქმების რეგისტრაციის ჟურნალები არ არსებობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ფატი შენგელიამ აღნიშნა, რომ ინტერნეტი შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ორივე შენობაში იყო ხელმისაწვდომი. მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო მე-2 შენობაში შეფერხებული იყო ინტერნეტის მიწოდება. ავტორიზაციის ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ ინტერნეტისთვის საჭირო კაბელები დაწესებულების მე-2 შენობაში იყო გაყვანილი, თუმცა მხოლოდ ტექნიკური სამუშაოების გამო, აღნიშნულ შენობაში შეფერხებული იყო ინტერნეტით სარგებლობა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო შექმნილი ადაპტირებული გარემო დაწესებულების მე-2 კორპუსში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველ კორპუსში სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ჰქონდათ ადაპტირებული გარემო. შესაბამისად, თუ კი უნივერსიტეტში ისწავლიდა სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი, მისთვის სასწავლო პროცესი მთლიანად წარიმართებოდა პირველ კორპუსში. ავტორიზაციის საბჭოს წევრი ნინო ძოწენიძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს იმის შესაძლებლობა რომ სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტის მოსვლის შემთხვევაში, ისე გადაეწყო სასწავლო პროცესი, რომ მხოლოდ პირველ კორპუსში წარმართულიყო სასწავლო პროცესი. აღნიშნულ კითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა გასცა დადებითი პასუხი.

სხდომის თავმჯდომარე იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას სამეცნიერო საბჭოსა და დამფუძნებელი პარტნიორების სხდომების ოქმების

სარეგისტრაციო ჟურნალები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხდომის ოქმები ჰქონდათ. რაც შეეხება სარეგისტრაციო ჟურნალებს, დაწესებულებას აღნიშნული ჟურნალები უკვე გააჩნდა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 1500-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 1080 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1080-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა დაწესებულების პირობები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების ნაწილში, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე, ავტორიზაციის მაძიებელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, ასევე სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში ავტორიზაციის ექსპერტებს აქვთ იდენტური შენიშვნები, რაც დააფიქსირეს აკადემიური ნაწილის მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით. მომხსენებლმა განმარტა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში სხვა შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში მოცემული იყო 11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის დირექტორის 2011 წლის 10 ოქტომბრის №02/80 ბრძანებით გაუქმდა კბილის ტექნიკოსის მე-3 და მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის გამოსაყოფი ადგილების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განსაზღვრულიყო 280 პროფესიული სტუდენტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების

უფლებამოსილების მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 280-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლისა და მე-13 მუხლის შესაბამისად, შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1080-ით. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვოს 280-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შედეგად სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:00 საათზე.

იოსებ სალუქვაძე
თავმჯდომარე

რუსუდან ტყეშელაშვილი
მდივანი